საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის სექტემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის სექტემბრის თვეში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2022 წლის 6 სექტემბერს შევიდა ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და მისი 177-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. იმ პირის/დაწესებულების მიერ, რომელსაც შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა–გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარიდან 7 000 ლარამდე ოდენობით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020598

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი (კანონის მიზანი); მე-4 მუხლი (მნიშვნელოვანი სისტემა); მე-5 მუხლი (ოპერატორად რეგისტრაციისგან გამონაკლისი და საგადახდო სისტემის დანერგვა); 5^1 მუხლი (საგადახდო სისტემაზე წვდომა); მე-13 მუხლი (საგადახდო მომსახურების ცნება); მუხლი 13^1 (საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ნებადართული საქმიანობა); მე-15 მუხლი (საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და საგადახდო მომსახურების განხორციელება); მე-20 მუხლი (მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ან/და მასთან შეთანხმების დადება); მუხლი 20^1 (საგადახდო ინსტრუმენტის მიღება და ქო-ბეჯინგი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200020000.05.001.020607

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 20^1 მუხლის პირველი პუნქტისა, მე-15 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 22^2 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებისა და 22^3 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა, 27-ე პუნქტით გათვალისწინებული კანონის 41^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და VI^2 თავისა, ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 22^2 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები და კანონის 22^3 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან.

კანონის პირველი მუხლის 27-ე პუნქტით გათვალისწინებული კანონის 41^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები და VI^2 თავი ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

კანონის პირველი მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 20^1 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს ცვლილებები შევიდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში და კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 9^4 მუხლი:

1. ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობისათვის, ასევე საბანკო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, ადგილობრივ ბაზარზე არსებითად ახალი და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების და ფინანსურ მომსახურებაზე მომხმარებელთა წვდომის გაზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია იურიდიულ პირზე გასცეს პირობითი ლიცენზია კომერციული ბანკის ლიცენზირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების დროებით გამარტივებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირობითი ლიცენზიის გაცემისას, რისკების შემცირების მიზნით, განსაზღვროს შესაბამისი შეზღუდვები ან/და ინდივიდუალური/დამატებითი მოთხოვნები, მათი სრულად დაკმაყოფილების ეტაპები და ვადები.

2. საბანკო საქმიანობის პირობითი ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300310000.05.001.020616

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი (საბანკო საიდუმლოება) და 21^1-ე მუხლი (კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020000.05.001.020615

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი (მიკროსაფინანსო საქმიანობა) და მე-10 მუხლი (ინფორმაციის კონფიდენციალობა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 220090000.05.001.020623

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.
კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება), მე-9 მუხლი (ეროვნული ბანკის საბჭოა უფლებამოსილებები), 48-ე მუხლი (ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება), 48^2-ე მუხლი (საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და ზედამხედვლობა), 50^2-ე მუხლი (ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა), 52^2-ე მუხლი (სესხის გამცემი სუბიექტის საქმიანობის ზედამხედველობა), 64^2-ე მუხლი (ეროვნულ ბანკთან არსებული საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში დავების განმხილველი კომისია) და 66^1-ე მუხლი (ეროვნული გადახდების საბჭო) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 220010000.04.001.018032

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტებისა, ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2022 წლის 9 სექტემბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი (აღსრულების ქვემდებარე აქტები) და მე-40 მუხლი (მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.020614

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.
ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №487

2022 წლის 23 აგვისტოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 (ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ), მე-11 (ინფორმაციის გაცემა ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან) და 58-ე (ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების ზოგადი წესი) მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.22.027.017350

ბრძანება იმოქმედებს 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №174/ნ

2022 წლის 22 სექტემბერს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

,,2[1]. წინამდებარე წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც სურთ სკოლაში უკრაინულ სექტორზე დასაქმება. აღნიშნული პირები შეირჩევიან სკოლის მიერ დადგენილი წესით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430030000.22.022.018214

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2022 წლის 11 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2022 წლის 23 სექტემბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 81[2] მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ზ)უზრუნველყოს მხოლოდ ამ ბრძანებით დადგენილი წესით ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა. ამასთან, ნიშანდებულად/მარკირებულად ითვლება ის პროდუქტიც, რომელზეც ვერ ხერხდება შერჩეული პირის მიერ დატანილი არამატერიალური ფორმის მარკის სრული ან ნაწილობრივი წაკითხვა/ამოცნობა;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017622

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №20/ნ

2022 წლის 26 სექტემბერს „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქციისა და

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 5 თებერვლის №20/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქციის“ (დანართი №2) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 020080160.22.022.018217

ბრძანება ამოქმედდა გამოქვენყებისთანვე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №99

2022 წლის 16 სექტემბერს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების“ მე-2 მუხლი (ტერინთა განმარტება), მე-6 მუხლი (ინსპექტირების სახეები და მიმართულებები), მე-10 მუხლი (იბიექტზე განსახორციელებელი სხვა ღონისიძიებანი), მე-11 მუხლი (გეგმური და არაგეგმური შემოწმება), მე-12 მუხლი (ინსპექტირების განხორციელება და მისი სამართლებრივი საფუძვლები), 23-ე მუხლი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მითითება) და 26-ე მუხლი (განმეორებითი და შემდგომი ინსპექტირებ(ებ)ის განხორციელების წესი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.023674

დადგენილება ამოქმედდა ამოქმედებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №96

2022 წლის 16 სექტემბერს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგინდა „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთები“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.10.003.023673

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 19 სექტემბრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 27 სექტემბერს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. COVID-19-ით დაავადებულთან კონტაქტში მყოფი პირები არ ექვემდებარებიან იზოლაციას, ამასთან, ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მაღალი რისკის კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 კალენდარული დღის განმავლობაში (მათ შორის, დაბალი რისკის გარემოში მოხვედრისას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საცხოვრისში, თავის არიდება ისეთი ადგილებისგან, სადაც ნიღბის გამოყენება შეუძლებელია (მაგ.: საზკვების დაწესებულებებში და ა.შ.)).“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023677

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge